

ჩრდილთა ქება (ამონარიდი)

სახლის მოწყობის შესახებ

დღესდღეისობით, არქიტექტურით გატაცებულმა ადამიანმა რომ ტრადიციული იაპონური სახლის აგება ისურვოს, დიდი მოხერხება დასჭირდება, სახლში ისე მოაწყოს ელექტროობა, გაზისა და წყლის გაყვანილობა და სხვა თანამედროვე საშუალებები, ძასიკის, ტატამისთვის განკუთვნილი ოთახის მკაცრი წესრიგი რომ არ დაირღვეს. ვისაც სულ მცირე დრო მაინც გაუტარებია ისეთ ტრადიციულ ნაგებობებში, როგორცაა ჩაიხანა, რესტორანი თუ სასტუმრო, სულაც უბრალო მოყვარული იყოს, მიხვდება, რა გამონვევის წინაშეც დგას. თუკი ერთ მარტოხელა ჩაის ცერემონიის დამფასებელს შეუძლია, უგულებელყოს ტექნოლოგიის სიკეთეები და საცხოვრისად ლერწმით გადახურული ქობმაქი მოიწყოს რამე მიუვალ, უდაბურ ადგილას, კაცი, რომელიც ოჯახს უძღვება ქალაქში – რაც არ უნდა გულმხურვალედ უჭერდეს მხარს „იაპონურ სტილს“ – უარს ვერ იტყვის თანამედროვე ცხოვრების ისეთ უპირატესობებზე, როგორიც გათბობა, ელექტროენერჯია და ჰიგიენური საპირფარეშოა.

ახირებულმა კაცმა შეიძლება თმები დაიძროს იმაზე დარდით, სად განათავსოს ტელეფონი ისე, რომ თვალში ეკლად არ ეჩხირებოდეს – იქნებ კიბის ქვეშ, ანდა დერეფნის კუთხეში. შეუძლია, ელექტროობის გარე კაბელები დამალოს, ვთქვათ, ეზოში ჩაფლას ისინი, ხოლო შუქის ამომრთველები საკუჭნაოსა თუ კარადებში შემალოს, მავთულები კი შირმის ჩრდილს ამოაფაროს; ბოლოს და ბოლოს, მისი ნევროზები მხოლოდ მეტისმეტად ფორიაქა ხრიკების გამაღიზიანებელ შთაბეჭდილებას დაგვიტოვებს. ჩვენი თვალები იმდენად მიეჩვივნენ ელექტროგანათებას, რომ სტანდარტული, შუქგამტარი, ბაცი შეფერილობის შიშველი ნათურის უბრალოება ბევრად უფრო ბუნებრივად გვესახება, ვიდრე გადამალვის ასეთი უღიმღამო მცდელობები. მიმწუხრს მატარებლის ფანჯრიდან მედინი სოფლის არემარის მაცქერალი იქნებ მონუსხოს კიდეც ეული ნათურის დახშულმა ნათებამ, ძველებური საჩრდილობლის ქვეშ, გლეხის ლერწმით გადახურული სახლის სარკმლიდან რომ მოჩანს.

სხვა საქმეა „ვენტილატორის“ სახელით ცნობილი მოწყობილობა, რომლის მოყვანილობისა და ხმაურის ტრადიციული ოთახის ესთეტიკასთან შერწყმაც დღემდე შეუძლებელია. თუ საშუალო ფენის ოჯახს არ მოსწონს ვენტილატორი, ცხადია, უმისოდაც გაძლებს, მაგრამ მომსახურების სფეროში დასაქმებული ოჯახი ერთ ზაფხულს ვერ გადაიტანს, თუკი ძველი სტილის ერთგული, ხანდაზმული

მეპატრონის ქკუაზე ივლის და უარს ეტყვის მომხმარებელს გაგრძელების ამ საშუალებაზე. ერთი ჩემი მეგობარი, ჩინური რესტორნის, კაირაკუნის მეპატრონე, როდესაც საქმე ტრადიციულ არქიტექტურას ეხება, სრული პედანტი გახლავთ და წლების მანძილზე უძალიანდებოდა რესტორანში ვენტილაციის დაყენების იდეას; მაგრამ ზაფხულში მომხმარებლების გაუთავებელი საჩივრების შედეგად, საბოლოოდ, დაყარა ფარხმალი და მანაც განათავსა თავისთან ვენტილაციის სისტემა.

თავადაც მსგავსი გამოცდილება მექონდა რამდენიმე წლის წინ, როდესაც სახლის აშენებას საჭიროზე გაცილებით მეტი ფული შევალე. დაგეგმარების წვრილმანებმა მეტისმეტად ჩამითრია – ფუსუმას და სოძის ტიპის გასაწევი კარები და ასე შემდეგ – რამაც უთვალავი სირთულეები წამოჭრა. თუმცა მინის გასაწევ კარს ფუსუმა მერჩივნა, მთელ სახლში მხოლოდ ქალაქის კარების დაყენება უსაფრთხოებისა და განათების კუთხით საგრძნობ პრობლემებს გულისხმობდა. ბოლოს გამოსავალს გარედან მინის, შიგნიდან კი სოძის დაყენებით მივაგენი, რაც ორმაგ კარის ჩარჩოს, მაშასადამე მეტ ხარჯებს გულისხმობდა. და ამის მიუხედავად, სასურველ ეფექტს ვერ მივაღწიე, რადგან გარედან კარი უბრალოდ შუშისა ჩანდა, შიგნიდან კი ქალაქს ამოფარებული მინა არ ქმნიდა იმ მდიდარ, თუმც სადა განცდას, რომელიც წარმოადგენს სოძის ყუმბარით ბუნებას, ამდენად, საბოლოო ჯამში, შედეგით უკმაყოფილო დავრჩი. ახლა ვნანობ ჩემს საქციელს და ვთვლი, რომ აჯობებდა, უბრალოდ შუშის კარი დამეყენებინა. ცხადია, სხვების შეცდომების გაქილიკება გაცილებით იოლია, ვიდრე საკუთარი შეცდომის აღიარება და მისი შუა გზაში გამოსწორება.

თუმცა მოვახერხე ისეთი ელექტრო სანთურების პოვნა, რომლებიც გრძელ ფეხიან ზეთის ლამპებს ჰგავდა; და ისიც შევძელი, ფარნები და სასანთლები ტატამის ოთახთან შეთანხმებით გამეკიდა, ჩემთვის ეს მცდელობები მაინც არაფრისმომცემი აღმოჩნდა. სანაცვლოდ, ძველმანების ფარდულებში დავიწყე უყალბევი ნივთების ძიება: ვარჩევდი ძველ ნავთის სანათებს და იმათ ვუმაგრებდი ნათურებს.

ყველაზე დიდი თავის ტკივილი გათბობის სისტემის საკითხი გამოდგა. ჯერ ერთი, არ არსებობს ისეთი მოყვანილობის ღუმელი, ტატამის ოთახს რომ მოერგოს. თანაც გაბჭურას ახლავს დამწვარი სათბობის გულისგამანვრილებელი გუგუნი, რომ არაფერი ვთქვათ თავის ტკივილზე, რომელსაც ის, წესიერი საკვამურის გარეშე, იწვევს. ამდენად, ელექტროღუმელი თითქოსდა იდეალური გამოსავალი უნდა იყოს, მაგრამ მათი გადაწყვეტაც იმავე წარმოსახვის ნაკლებობით გამოირჩევა. ასეთი აზრიც გამიჩნდა, რომ გამათბობლები იატაკის სიმაღლეზე განთავსებულ კარადებში დამეყენებინა, ისე, როგორც მატარებლებშია, მაგრამ ზამთარი რის ზამთარია ცეცხლის მანუგეშებელი ღულუნის გარეშე? დიდხანს ვიჭყლიტე ტვინი, სანამ ბოლოს არ გადავწყვიტე ისეთი კერია ამეგო, როგორცაა გლეხების სახლებში ვხვდებით, ოღონდ ელექტრო გამათბობლის ელემენტით, რომელიც

ნახშირით გამოიყურება; ამ ჩანაფიქრმა ბრწყინვალედ იმუშავა, წყალიც ცხელდება და ოთახებიც თბება, და იმდენად მომხიბვლელი შესახედაობისაა, რომ – თუ კოლოსალურ ხარჯებს არ ჩავთვლით – ამ მიგნებას ჩემს ერთ-ერთ წარმატებად მივიჩნევ.

გათბობის საკითხის გარკვეული სიმარჯვით გადაწყვეტამ შემდეგ სირთულესთან მიმიყვანა, აბაზანისა და საპირფარეშოს არეში. ჩემი ხსენებული მეგობარი, კაირაკუნის მეპატრონე, ვერ იტანს აბაზანასა და ნიჟარაში კრამიტის გამოყენებას, ამიტომ მისი სტუმრებისთვის განკუთვნილი აბაზანა სრულად ხეშია გადაწყვეტილი – თუმცა გინდა პრაქტიკული, გინდა ეკონომიკური კუთხით, კრამიტს არაფერი სჯობს. მაგრამ თუკი გადახურვა, ძელები და კედლები ლამაზი იაპონური ხისგანაა დამზადებული, სახლის სხვა ნაწილების ძლიერ ამრეკლავი კრამიტით მოპირკეთება ოთახის კეთილხმოვანებას არღვევს. და თუმც ერთი შეხედვით შეიძლება, მისაღებად გვეჩვენოს, ხის ღარები ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში გამოამჟღავნებს ხასიათის სიღრმეს, ხოლო კრამიტით მოპირკეთებული თეთრი ზედაპირები ისევე უადგილოდ მოგვეჩვენება, როგორც ხეზე დაკალმებული ბამბუკი.

აბაზანის საკითხში კიდევ შეიძლება, პრაქტიკული მოსაზრებები გემოვნებას შეეწიროს, მაგრამ როდესაც საქმე საპირფარეშოს ეხება, თავს ბევრად რთული პრობლემები იჩენს.

საპირფარეშოს ესთეტიკა

როცა კი კიოტოსა თუ ნარას ტაძრის სტუმრობისას ძველებურ, დაბინდულ და უნაკლოდ მოწესრიგებულ საპირფარეშოში აღმოვჩნდები, კიდევ უფრო მიმძაფრდება პატივისცემა იაპონური არქიტექტურის ადათ-წესებისადმი. ტატამის ოთახი, თავისთავად, ჩინებულია, მაგრამ სულსა და გონებას მალამოდ სწორედ საპირფარეშოს გადაწყვეტა ედება.

ის საცხოვრისისგან განცალკევებით, დერეფნის ბოლოში მდებარეობს, კორომის ჩრდილობით გარშემორტყმული, ბუჩქნარისა და ნოტიო ხავსის სურნელებით გაჟღენთილი. შეუძლებელია იმ განცდის აღწერა, სოძიდან გამომავალი შუქის მიმქრალ ციმციმში ჩაცუცქულს, საკუთარ თავში ჩაღრმავებულს ანდა სარკმლით ბალის სანახის მოცქრილას რომ გეუფლება.

რომანისტი ნაცუმე სოსეკი წერდა, რომ ყოველ დილით საპირფარეშოს სტუმრობა მისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ტკბობას წარმოადგენდა – ფიზიოლოგიურ სიხარულს. და რა უკეთეს ადგილს ინატრებს ადამიანი ამ სიხარულით გულის საჭერებლად, ვიდრე ამ მშვიდ გარემოცვას, შემოსაზღვრულს დაღარული ხის კედლებით, ცისა და

ბალის უხვი ფერების ხედით თვალთა წყალობად. არის რამდენიმე გარდაუვალი პირობა: ჩაბნელების გარკვეული ხარისხი, სრული სისუფთავე და ისეთი სიჩუმე, რომ კოლოს ზუზუნი გესმოდეს. უსაზღვრო სიამოვნებას მანიჭებს ყურის გდება, როგორ ჟინჟლავს ნაზად წვიმა, როცა კი ასეთ საპირფარეშოში აღმოვჩნდები.

ეს განსაკუთრებით კანტოს რეგიონს ახასიათებს, სადაც, საპირფარეშოებში, ჭუჭყის გასახვეტად, იატაკის სიმაღლეზე ვიწრო სარკმელია ხოლმე გაჭრილი, რის წყალობითაც კიდევ უკეთ მოისმის ფოთლებიდან და სახურავის კიდიდან მონანწკარე წვიმის წვეთების ხმა, როგორ ასველებენ ისინი ქვის ფარნების ძირებს, კიბის საფეხურებს მოკიდებულ ხავსს ანოტივებენ და მიწაში იჟლინთებიან. ნამდვილად ქვეყნად არ არსებობს ამაზე შესაფერისი ადგილი, ყური უგდო ჩიტების ჟღერტულსა და მწერების ჭრიჭინს, მთვარიანი ღამით დატკბე, ჩაუღრმავდე საგანთა მგრძნობელობას წელიწადის დროთა სვლასთან ერთად; ეჭვგარეშეა, უხსოვარი დროიდან, ჰაიკუს პოეტებს უთვალავი კურთხეული აზრი დაბადებით ამ სივრცეში ჯდომისას.

მაშასადამე, ალბათ ცხადია, რომ იაპონური არქიტექტურის ურიცხვი ასპექტიდან, სწორედ საპირფარეშო წარმოადგენს სინატიფის მწვერვალს. ჩვენმა წინაპრებმა, რომლებიც პოეზიას ხედავდნენ ყველაფერში, რაც გარს ერტყათ, აიღეს სახლის ყველაზე უსუფთაოდ მიჩნეული წერტილი და დახვეწილობისა და გემოვნების კუთხედ აქციეს, ადგილად, რომელსაც ნოსტალგიით მოვიგონებთ, როგორც ბუნებრივი სილამაზის ტრადიციული ესთეტიკის ნიმუშს. დასავლელებთან შედარებით, რომლებიც თავიანთ ტუალეტს ძირეულად ისე აღიქვამენ, როგორც ბინიერ ადგილს და მასთან დაკავშირებით სახალხო საუბარიც კი უმძიმთ, ჩვენ სინატიფის სულის ბევრად ჯეროვანი გაგება აღმოგვაჩნდა. თუ ყურადღების უარყოფით მხარეებზე გამახვილებაც გვსურს, ვიტყვოდი, რომ მანძილი, საპირფარეშოს რომ მთავარი ოთახებისგან აშორებს, მოუხერხებელს ხდის ღამის გასვლებს, ხოლო ზამთარში ხანდისხან გაციების მიზეზიც კი შეიძლება იყოს, – თუმცა, როგორც რიოკუუ საიტო წერდა: „სინატიფე ყინულივით ცივია,“ და ისიც საამურია, როდესაც სხეულის ტემპერატურა ამინდს ეთანხმება, განსხვავებით იმ ოფლითა და ორთქლით გაჟღენთილი, პირადად ჩემთვის ძლიერ უსიამოვნო მხურვალეებისგან, დასავლური ტიპის სასტუმროებში რომ ვხვდებით.

სხვათაშორის, თუმც სუკიას სტილის ნებისმიერი დამფასებელი უდავოდ დამეთანხმებოდა, რომ იაპონური სტილის საპირფარეშო საპირფარეშოების მწვერვალს წარმოადგენს, სისუფთავის იმ ხარისხის შენარჩუნება, რასაც ტაძრებში ვხვდებით, საშუალო ოჯახისთვის იოლი როდია; ოჯახს არ აქვს იგივე პირობები: ტევადი კარ-მიდამო, მაცხოვრებელთა შეზღუდული ოდენობა და დამხმარე ხელთა სიუხვე. რაც არ უნდა ხშირად იწმინდებოდეს იატაკი, რაც არ უნდა მკაცრად დავიცვათ სისუფთავის წესები, ჭუჭყი თავს მაინც იჩენს, განსაკუთრებით უბრალო ხის იატაკსა და ტატამის ნოხზე. ასე რომ, ბოლო ანგარიშით, ტუალეტში უბრალო კრამიტის მიტყუპება, ჰიგიენისთვის უნიტაზისა და წყლის ავზის მოწყობა და სინატიფისა და ადათ-წესებზე თვალის დახუჭვა გაცილებით იოლი და

ხელმისაწვდომია. ამ პირობებში, ყველა მხრიდან თეთრი კედლებით გარშემორტყმული, ადამიანი ძნელად მიაღწევს იმ სულიერ სიმაღლეს, სოსეკიმ რომ „ფსიქოლოგიური ტკბობა“ უწოდა.

როდესაც სივრცის ყველა კუთხე-კუნჭული, ნაპრალი და ბზარი თეთრად ბზინავს, სანიტარიის საკითხს დიდი განხილვა არც სჭირდება. რამდენადაც მიუღებელი იქნებოდა, თვალისმომჭრელ, თაბაშირივით სხმულ ქალს უკანალი და ფეხები რომ გამოეჩინა საჯაროდ, არც ჩვენ შეგვშვენის, ნათელი ვფინოთ ჩვენი სხეულის ნაქმის მიმართულებას, რამდენადაც იმ ნაწილების ხაზგასმა, რომელთა დანახვაც ძალგვიძს, მხოლოდ იმ ნაწილებზე დაგვაფიქრებს, რომელსაც ვერ ვხედავთ. ყოველ შემთხვევაში, გვიჯობს, მეტისმეტად არ გავმიჯნოთ ზღვარი სუფთასა და უსუფთაოს შორის; ამ ადგილს მხოლოდ დაბინდული შუქი უნდა ანათებდეს.

სახლი, რომელიც ავაშენე, თანამედროვედაა კეთილმოწყობილი. თუმცა კრამიტის გამოყენებისთვის თავის არიდება შევძელი და, იაპონური წესის თანახმად, იატაკი ქაფურის ხისგან დავამზადებინე, უშუალოდ საპირფარეოს მოწყობა მაინც გამიძნელდა. როგორც ყველასათვის ცნობილია, ჩასარეცხი უნიტაზები თეთრი ფაიფურისგან მზადდება და მეტალის მბზინავი სახელურები უმაგრდება. მე კი მთელი გულით მსურდა, კაცისა და ქალის უნიტაზი ორთავე ხისა ყოფილიყო. საუკეთესო ვარიანტი მოჭიქული ხეა, მაგრამ უხეში ხეც კი, თვეებისა და წლების მოხმარების შედეგად, შავდება და მუქად იფერება, რაც, – თავად ხის ფაქტურასა და ზედაპირთან ერთად, – რალაც მანქანებით, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვებზე.

სანიმუშო ჩემთვის აბილილის მოყვანილობის მქონე ხის პისუარია, კედრის ფოთლებით გამოტენილი; ის არა მხოლოდ თვალს ეამება, არამედ, მოხმარებისას, შესანიშნავად ახშობს ნებისმიერ ხმას. მართალია, ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვერ მივცემდი, გადავწყვიტე, უნიტაზისთვის ჩემი სანატრელი მოყვანილობა მიმეცა და ჩასარეცხი სისტემით აღმეჭურვა. სამწუხაროდ, შევიტყვე, რომ ასეთის დამზადებას სპეციალური შეკვეთა დასჭირდებოდა, დაყენებას კი ზედმეტი სამუშაო საათები, ხოლო ხარჯები ჩემთვის მიუწვდომელი იქნებოდა, ამიტომ ჩემს ჩანაფიქრზე უარი ვთქვი. ცივილიზაციის უპირატესობებს – განათება იქნება, გათბობა თუ ტუალეტის მოწყობა – როდი ვგმობ, მაგრამ მაინც გამიჩნდა კითხვა, რატომ არ შეიძლება მათი ჩვენს ადათ-წესებსა და გემოვნებასთან მეტად შეხამება.

თარგმნა ირაკლი ყოლბაიამ
გრეგორი სტარის ინგლისური თარგმანის მიხედვით